ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, სულხან-საბასა და ვაკისუბნის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარის, გიორგი იობაშვილის ანგარიში, 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს შესახებ

„გახლავართ გიორგი იობაშვილი, სულხან-საბასა და ვაკისუბნის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ჩემი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ მოსახლეობას წარვუდგინო ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. წარმოგიდგენთ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა, დავიწყებ **გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებით,** გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, დასრულებულია **ბეტონის საფარით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები:**

- სულხან-საბას N21ა-ს მიმდებარედ (ფეხით სავალი ბილიკი)
- სულხან-საბას N65-79-ის მიმდებარედ
- თაბუკაშვილის ქუჩა N12-16-ის მიმდებარედ

დასრულებულია სულხან-საბას გამზირის N1 ბინასთან არსებული გზის მოწყობის სამუშაოები (66,7 ათ.ლარი), კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის სავალი ნაწილის და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (363,5 ათ.ლარი), თაბუკაშვილის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცია. (1 600 000 ლარი)

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების ფარგლებში დასრულებულია: თაბუკაშვილის ქუჩა N183 (154.3 ათ.ლარი), თაბუკაშვილის ქუჩა ბინა N22-თან (125.9) ლარი, გამსახურდიას ქუჩა N58 (159.0 ათ.ლარი) **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის პროგრამის ფარგლებში დასრულდა-**სულხან-საბას გამზირი N99(41.3 ათ.ლარი)

განხორციელდა სპორტული მოედნების რეაბილიტაცია ორ ლოკაციაზე: თაბუკაშვილის ქუჩა N98-ისა და 173-ის მიმდებარედ.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა:

- თაბუკაშვილის ქუჩა N215 (1,2,3,4 სად)
- თაბუკაშვილის ქუჩა N171 (1სად)
- თაბუკაშვილის ქუჩა N18 (4 სად)
- სულხან-საბას გამზირი N43 (1 სად)
- თაბუკაშვილის ქუჩა N187 (1სად)
- თაბუკაშვილის ქუჩა N12 (1სად)
- თაბუკაშვილის ქუჩა N18 (1სად)
- სულხან-საბას გამზირი N63 (1,2,3,4 სად)
- კაკაურიძის ქუჩა N5 (1,2,3,4 სად)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების დემონტაჟის და ახალი ლიფტების მონტაჟის პროგრამის ფარგლებში დასრულდა:

- სულხან-საბას გამზირი N41 (81,5)
- სულხან-საბას გამზირი N53(81,5)
- სულხან-საბას გამზირი N63(81,5)
- სულხან-საბას გამზირი N31(81,5)
- სულხან-საბას გამზირი N43(81,5)
- სულხან-საბას გამზირი N81(81,5)
- თაბუკაშვილის ქუჩა N30(81,5)
- თაბუკაშვილის ქუჩა N32(81,5)
- თაბუკაშვილის ქუჩა N171(81,5)
- თაბუკაშვილის ქუჩა N36(81,5)
- თაბუკაშვილის ქუჩა N38(81,5)
- თაბუკაშვილის ქუჩა N215(81,5)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის დაზიანებული სახურავების კაპიტალური შეკეთების პროგრამის ფარგლებში დასრულდა:

- თაბუკაშვილის ქუჩა N119(32,7 ათ.ლარი)
- თაბუკაშვილის ქუჩა N221(21,9 ათ.ლარი)
- თაბუკაშვილის ქუჩა N205(7.0 ათ.ლარი)
- თაბუკაშვილის ქუჩა N38(40,2 ათ.ლარი)
- სულხან-საბას გამზირი N39 სახლი (19,4 ათ.ლარი)
- სულხან-საბას გამზირი N43ა სახლი (20,5 ათ.ლარი)
- სულხან-საბას გამზირი N33 (12,1 ათ.ლარი)
- სულხან-საბას გამზირი N21 სახლი (4,3 ათ.ლარი)
- კ.გამსახურდიას ქუჩა N22 (30,1 ათ.ლარი)

განხორციელდა **წყალსაწრეტი მილების და პარაპეტების რეაბილიტაცია:**

- თაბუკაშვილის ქუჩა N171 (4,9 ათ.ლარი)
- სულხან-საბას გამზირი N81 (4,6 ათ.ლარი)

მიმდინარეობს:

- სულხან-საბას გამზირი N75

კეთილმოეწყო წმინდა სამების სახელობის ტაძრის ეზო.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში თაბუკაშვილის ქუჩა N187-ში მოეწყო ატრაქციონი, ხოლო თაბუკაშვილის ქუჩა N189-ში კი, ფანჩატური.

გადაიხურა N29-ე და N38-ე საჯარო სკოლები.

ოცხელის ქუჩა N4-ში მიმდინარეობს ფასადი/ღობ-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შევეხები ერთ-ერთ მასშტაბურ პროექტს და გეტყვით, რომ მიმდინარეობს მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის სრული რეაბილიტაცია.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ შესრულებულ სამუშაოებს შევეხები:

- დაიხაზა 14 ობიექტი-ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი.
- ექვს ლოკაციაზე განთავსდა ელ. განათების ახალი კონსტრუქციები.
- შეიცვალა ორი ცალი საგზაო ნიშანი
- გამოიცვალა 78 ცალი სანათი

რაც შეეხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ მიერ ვაკისუბნისა და სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებული სამუშაოებს, მოგახსენებთ:

- ამოიწმინდა სანიაღვრე არხი (3145 მ)
- ამოიწმინდა სანიაღვრე ცხაური (264 ცალი)
- სანიაღვრე ცხაურის/ჭის მონტაჟი/ აღდგენა/ შეკეთება (11 ცალი)
- ატრაქციონის შეკეთება/დემონტაჟი (3 ცალი)
- გაითიბა 128 800 მ^2 ფართობის ტერიტორია
- სხვა დამატებითი სამუშაოები (გზის სავალი ნაწილის ქვა-ღორღით შევსება, გაჭედილი სანიაღვრე სისტემის გახსნა) და ა.შ.

შევეხები ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ტრანსპორტის თემას, მოგახსენებთ, მიმდინარე წლის 2026 წელს რ.თაბუკაშვილის ქუჩაზე მოძრაობდა N5 და N20 (LF NAVIGO) ტიპის ავტობუსი, N5 სვლა გეზზე იყო 3 ერთეული ავტობუსი, რომლებიც ხაზზე მოძრაობდნენ 27 წუთიანი ინტერვალით, უახლოეს მომავალში იგეგმება ამავე სვლა გეზს დაემატოს 2 ერთეული ავტობუსი, რომელიც შეამცირებს ავტობუსებს შორის ინტერვალს და ნაცვლად 27 წუთისა იქნება 15 წუთი. ასევე ამავე ხაზზე იგეგმება სვლა გეზის ცვლილება: რ.თაბუკაშვილის ქ.-ი.ოცხელის ქ.-კ.გამსახურდიას ქ.-ი.ჭავჭავაძის გამზ.-დ.მანდარია.-თამარ მეფის ქ.-დ.აღმასენებლის მოედანი.-ზ.ფალიაშვილის ქ.-შ.რუსთაველის გამზ.-ი.გრიშაშვილის ქ.-ნ.დუმბაძის ქ.-ე.ნინოშვილის ქ.-კ.გამსახურდიას ქ.-კ.გამსახურდიას ქ N217.-კ.გამსახურდიას ქ.-რ.ჭეიშვილის.-დ.ხახალეიშვილის ქ.-რ.თაბუკაშვილის ქ. ნაცვლად ამ ქუჩებისა იმოძრავებს: რ.თაბუკაშვილის ქ.-ი.ოცხელის ქ.-კ.გამსახურდიას ქ.-ი.ჭავჭავაძის გამზ.-ლ.ასათიანის ქ.-გ.ტაბიძის ქ.-შ.რუსთაველი გამზ.-ა.წერეთლის ქ.-დ.მანდარიას ქ.-თამარ მეფის ქ.-დ.აღმაშენებლის მოედანი.-წითელი ხიდი.-ი.გრიშაშვილის ქ.-ნ.დუმბაძის ქ.-ე.ნინოშვილის ქ.-კ.გამსახურდიას ქ.-ი.ოცხელის ქ.-რ.თაბუკაშვილის ქ.

N20 სვლა გეზზე ამჟამად მოძრაობს 5 (LF NAVIGO) ტიპის ავტობუსი 15 წუთიან ინტერვალში, დაგეგმილია ამავე ხაზს დაემატოს 2 ერთეული ავტობუსი, რომელიც ასევე შეამცირებს ავტობუსებს შორის ინტერვალს და ნაცვალად 15 წუთისა იქნება 7 წუთი.

სულხან-საბას გამზირზე მოძრაობს N10 (LF NAVIGO) ტიპის 3 ერთეული ერთეული ავტობუსი, მათ შორის ინტერვალი არის 25 წუთი, იგეგმება ამავე სვლა გეზზე 2 ერთეული ავტობუსის დამატება, შესაბამისად ავტობუსებს შორის ინტერვალი ნაცვლად 25 წუთისა იქნება 15 წუთი.

ამავე ქუჩებზე მოძრაობს N118 მიკრო ავტობუსი ერთი ერთეული, ამჟამად N118 მოძრაობს შემდეგი მიმართულებით:-კ.გამსახურდიას ქ N209, რ.ჭეიშვილის ქ. ,სულხან-საბას გამზ(შიდა სასახლება N63,N63ა,N49,N29,N39,N53), სულხან-საბას გამზ, ს.გუგუნავას ქ., ზ.გამსახურდიას ქ., ი.ჭავჭავაძის გამზ, ლ.ასათიანის ქ, გ.ტაბიძის ქ, წითელი ხიდი, შ.რუსთაველის გამზ, ი.გრიშაშვილის ქ, ნ.დუმბაძის ქ, ე.ნინოშვილის ქ, სოხუმის ქ, ლ.ასათიანის ქ, ი.ჭავჭავაძის გამზ, კ.გამსახურდიას ქ N209, ნაცვლად ამ სვლა გეზისა იმოძრავებს შემდეგი მიმართულებით: კ.გამსახურდიას ქ N209, კ.გამსახურდიას ქ, ი.ჭავჭავვაძის გამზ, ლ.ასათიანის ქ, გ.ტაბიძის ქ, წითელი ხიდი, შ.რუსთაველის გამზ, ი.გრიშაშვილის ქ, ნ.დუმბაძის ქ, ე.ნინოშვილის ქ, სოხუმის ქ, ლ.ასათიანის ქ, ი.ჭავჭავაძის გამზ, კ.გამსახურდიას ქ.

იგეგმება ასევე ახალი მარშუტი N148, რომელიც იმოძრავებს შემდეგი მიმართულებით, სულხან-საბას გამზირი, სულხან-საბას გამზირის შიდა დასახლება (N63,63ა,19,29,39,53), ს.გუგუნავას ქუჩა, ზ.გამსახურდიას გამზირი, შ.რუსთაველის გამზირი, დ.აღმაშენებლის მოედანი, წითელი ხიდი, შ.რუსთაველის გამზირი, ზ.გამსახურდიას გამზ, ს.გუგუნავას ქუჩა, სულხან-საბას გამზირი. ამ მიმართულებით ახალი ხაზი მოემსახურება, როგორც ს.გუგუნავას ქუჩას, ზ.გამსახურდიას ქუჩას, სულხან-საბას გამზირს შიდა და გარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მოქალაქეებს.

შევეხები სოციალურ თემას, როგორც იცით აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ჩვენი ბიუჯეტიდან, სამწუხაროდ ქალაქში ჯერ კიდევ არ გვაქვს სახარბიელო სოციალური ფონი, ამიტომ მომართვიანობა ხშირია, როგორც ჩემთან, მაჟორიტარის რანგში, ასევე ქალაქის ხელისუფლებასთან. მომართვიანობა ძირითადად ეხება რამდენიმე მიმართულებას, პირველი-ერთჯერადი მატერიალური დახმარება (78 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა და ჯამში გაცემულ იქნა 26 550 ლარი), მეორე-გადაუდებელი რეაგირების პროგრამა (სულხან საბასა და ვაკისუბნის სამაჟორიტარო ოლქებში დახმარება გაეწია 22 მოქალაქეს და ჯამში გაცემულ იქნა-23 400 ლარი), მესამე-სამედიცინო დახმარების პროგრამა და მეოთხე-მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.

მაჟორიტართან ერთად გახლავართ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულმა კომისიამ ჩაატარა 15 სხდომა, განხილულია 58 საკითხი, ყველა საკითხზე შემუშავებულ იქნა დასკვნები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, საკითხებს შორის არის რგფ-თან მოსაწონებლად გადასაგზავნი წინადადებების ნუსხა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩემთვის, რადგან ამ დოკუმენტით ხდება მომავალი წლის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა, გარდა ამისა, მერია საკუთარი სახსრებითაც ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელიც ასევე შედის ჩვენი კომისიის კომპეტენციაში. დამატებით გაცნობებთ, რომ გახლავართ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, ვესწრებოდი საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ სხდომებს და უფლებამოსილების ფარგლებში ვმონაწილეობდი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში. როგორც საკრებულოს წევრი, კანონით მონიჭებული უფლებით ვმონაწილეობ საკრებულოს სხდომებში.

სტრუქტურა	სხდომათა რაოდენობა	განხილულ საკითხთა რაოდენობა
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია	16	66
საკრებულო	15	141
იურიდიულ საკითთა კომისია	20	69
ფრაქცია „ქართული ოცნება“	18	21

აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის მეშვეობით ხდება შეჯერება განსახორციელებელ პროექტებზე და დგება პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც ეგზავნება ინფრასტრუქტურის სამინისტროს, დაფინანსების მოსაპოვებლად.

როგორც იცით, მუნიციპალური განვითარების ფონდი სერიოზულ სამუშაოებს აწარმოებს ქალაქში, ასევე მომავალ წელს ცენტრალური ხელისუფლებიდან ველოდებით თანხების მობილიზებას, რომლითაც იგეგმება ქალაქში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, საკრებულოს, ქალაქის მერს და მის გუნდს თანამშრომლობისა და თანადგომისათვის.

მინდა მადლობა გადავუხადო, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის, რადგან კომისიის არცერთი სხდომა არ ჩაშლილა ქვორუმის არარსებობის გამო.

ბოლოს მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ჩვენს ამომრჩევლებს, რომლებიც გვენდეთ და მოგვეცით საშუალება მონაწილეობა მიგვეღო ჩვენი ქალაქის მშენებლობაში. ვთვლი, რომ ჩვენც ჩვენის მხრივ მაქსიმუმს ვაკეთებთ იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რაც დღეს გვაქვს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

სულხან-საბასა და ვაკისუბნის ადმინისტრაციული
ერთეულების მაჟორიტარი

გიორგი იობაშვილი